ლათინურ ამერიკაში მართლმადიდებელი იერარქები განცხადებით გამოვიდნენ დამასკოში, ელიას ტაძარში, განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 04.07.2025. ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების იერარქებმა ლათინურ ამერიკაში ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას, რომლითაც დაგმეს 2025 წლის 22 ივნისს სირიის დედაქალაქ დამასკოში წინასწარმეტყველ ელიას (მარ ელიას) მართლმადიდებლურ ტაძარში განხორციელებული **ტერორისტული აქტი.**

განცხადების ინიციატივა ეკუთვნის ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის ბუენოს-აირესისა და არგენტინის ეპარქიას. ამის სესახებ 4 ივლისს **ინფორმაცია გაავრცელა** მოსკოვის საპატრიარქოს არგენტინისა და სამხრეთ ამერიკის ეპარქიის ტელეგრამ-არხმა.

ქრისტიანი მსხვერპლებისა და მათი ოჯახების, ასევე მთელს მსოფლიოში დევნილი ქრისტიანების მიმართ თანალმობისა და მწუხარების გრძნობით დოკუმენტს ხელი მოაწერეს ოთხი საპატრიარქოს – ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის, მოსკოვის (მათ შორის რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის) და სერბეთის მღვდელთმთავრებმა.

განცხადებაში, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ ტერორიზმი მიუღებელია მისი ყველა ფორმით, ხასიათითა და განზომილებით, და მისი ადგილი არ უნდა იყოს 21-ე საუკუნეში ცივილიზებულად მიჩნეულ სამყაროში. „ეს არის ღვთისა და ხალხის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, კაცობრიობისა და თავად ღმერთის ყველაზე სასტიკი უარყოფა; აქტი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჯანსაღ სულიერებასთან და ღრმა ჭრილობას აყენებს შემოქმედის გულს და ყველა ცოცხალ ცნობიერებას. ამ ბარბაროსობას ეკლესია პასუხობს რწმენის სინათლით, სიყვარულის ძალითა და შერიგებული სამყაროს მტკიცე იმედით. ყველამ უნდა ავიმაღლოთ ხმა და გადაჭრით დავგმოთ ის, რაც მოხდა წინასწარმეტყველ ელიას ტაძარში, რადგან ტერორიზმი თავს დაესხა მშვიდობიან ადამიანებს, რომელთა ერთადერთი განზრახვა და მოქმედება იყო ლოცვა და მშვიდობისკენ მოწოდება მთელს მსოფლიოში“, – ხაზგასმით აღნიშნეს იერარქებმა.

განცხადება მთავრდება სიტყვებით: „დაე, მოწყალე ღმერთმა დაიცვას სირიისა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანები ტერორიზმის მარწუხებისგან, დაიცვას მსოფლიოს ყველა ხალხი და არგენტინის კეთილშობილი ხალხი ყველა ფორმის ძალადობისა და აგრესიისგან. დაე, ქრისტეს მშვიდობის ნათელმა სძლიოს სიძულვილის სიბნელეს, და სიყვარული და სამართლიანობა აყვავდეს იქ, სადაც სხვები

სიკვდილსა და განხეთქილებას თესავენ“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93393/